

შპს „ამბიენს“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ამბიენს"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
			ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12708618	15061703	16048651	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3008833	4531528	2344925	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	55791	283046	39283	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	3009122	3636055	2788523	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	3009122	3636055	2788523	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	33111	21875	10680	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები			61	
ძირითადი საშუალებები	81766	107765	135664	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	18897241	23641972	21367787	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	2696126	4589961	4518350	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4681	1722	1189	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	11795	10488	278517	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2712602	4602171	4798056	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	16182766	19037928	16567858	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1873	1873	1873	
სულ საკუთარი კაპიტალი	16184639	19039801	16569731	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18897241	23641972	21367787	
სულ მოკლევადიანი აქტივები	18815475	23534207	21232062	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2712602	4602171	4798056	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.				
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ამბიენს"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	13187530	14789212	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12920058	14420008	
- მომსახურების გაწევიდან	267472	369204	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-6722670	-8254517	3.5
საერთო მოგება	6464860	6534695	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-665509	-578766	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-27270	-29420	
საპროცენტო შემოსავალი	182192		
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-32548	-30230	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1486174	-1204817	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-2029309	-1843233	
საოპერაციო მოგება	4435551	4691462	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-60484	435448	3.7
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	1329	615	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	4376396	5127525	
მოგების გადასახადის ხარჯი	-1084733	-475565	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3291663	4651960	3.8
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	3291663	4651960	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	19039801	16569731	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-6146824	-2694869	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		512979	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	16184640	19039801	3.4
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.			
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ამბიენს"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2824302	1493828	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	173847	-5828	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-5839483	-2560126	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-2841334	-1072126	
სავალუტო კურსის ეფექტი	488249	85178	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	15061703	16048651	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	12708618	15061703	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.			
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ამბიენს“ (შემდგომში – *კომპანია*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 12 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 401954122, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქ., კორპ. N51, ბინა N89. კომპანიის ახლანდელი ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. N 12.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები ამჟამად არიან: 75% - რასიმ ნამაზოვი (1CH8ZYZR, C00997869, C02969954 /აზერბაიჯანი/), 25% - შახლა მამედოვა (1W18RS9, C00987559 /აზერბაიჯანი/).

კომპანიის დირექტორია რასიმ ნამაზოვი.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პოლონეთიდან მედიკამენტების იმპორტი და შემდგომი რეექსპორტი აზერბაიჯანში. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა ფარმაცონსალტინგი და მედიკამენტების რეგისტრაცია.

1.4. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი, ასოცირებული და მეკავშირე საწარმოები. მას აქვს რეგისტრირებული ფილიალი (წარმომადგენლობა) აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლიდან.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 21 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

შენიშვნა: ამჟამად, ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად აღარ წარმოებს.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო დანიშნულებისამებრ, კომპანიის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის

დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5-9 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება შემდეგნაირად:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის

მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად - ისეთი შვილობილი საწარმოების არსებობისას, რომლებიც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისათვის - 20%).

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2024 წელს: 1 USD=2.7208 ლარი; 1 EUR= 2.9440 ლარი.

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	3923	41
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	10838499	14466599
ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	275873	594962
ფული საბანკო ანგარიშებზე (აზერბაიჯანი)	323	101
ფული საბანკო დეპოზიტზე	1590000	
სულ:	12708618	15061703

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაყიდი ფარმაცევტული საქონელი	3009076	3636009
საწვავ-საცხები მასალები	46	46
სულ:	3009122	3636055

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2024	დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2024	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2023	დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2023
ძირითადი საშუალებები აზერბაიჯანში	204345	127260	77085	204345	102081	102264
კავშირგაბმულობის საშუალებები	10830	7893	2937	10830	6633	4197
კომპიუტ. ტექნიკა და სხვა მოწყობილობები	11423	9679	1744	10152	8848	1304
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (გარდა ავეჯისა)	12786	12786	0	12786	12786	0
მცირეფასიანი ავეჯი	1051	1051	0	1051	1051	0
სრულად	240435	158668	81766	239164	131399	107765

3.4. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალის უდიდეს ნაწილს შეადგენს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება, რაც 2024 წლის ბოლოსთვის 16182766 ლარია. საკუთარი კაპიტალის სიდიდეში 2023 და 2024 წლების

ბოლოსთვის, გარდა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა, ჩართულია ასევე აზერბაიჯანის ფილიალთან მომხდარი ოპერაციებიდან წარმოშობილი სავალუტო საკურსო სხვაობა 1874 ლარი, რომელიც არ მიეკუთვნება მოგება-ზარალს, არამედ აღიარებულია როგორც სხვა სრული შემოსავალი.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეესპორტი	12823038	14395008
საქონლის გაყიდვა საქართველოში	97020	25000
ფარმაცონსალტინგი	91979	86310
წამლების რეგისტრაცია	175493	282894
სულ:	13187530	14789212

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2024 წ. – 6722670 ლარი, 2023 წ. – 8254517 ლარი) მთლიანად შედგება გაყიდული საქონლის (მედიკამენტების) თვითღირებულებისაგან. ეს საქონელი იმპორტირდება პოლონეთიდან და ძირითადად ექსპორტირდება აზერბაიჯანში. საქართველოში იყიდება საქონლის მხოლოდ მცირე რაოდენობა. კერძოდ, 2024 წელს საქართველოში მედიკამენტების გაყიდვებისგან მიღებული ამონაგები იყო მხოლოდ 97020 ლარი (მთლიანი ამონაგების 1%-ზე უფრო ნაკლები), რომლის შესაბამისმა თვითღირებულებამ შეადგინა 33640 ლარი.

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
მიწოდების ხარჯები	411089	1416
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	8034	8034
პროგრამული და კომპიუტერული ხარჯები	144	5746
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	50	469
მივლინების ხარჯები	151836	125583
ელ.ენერგია, გაზი, წყალი	72	123
„ავერსის“ მომსახურება	258298	294746
საკომუნიკაციო ხარჯები	730	1674
საბანკო ხარჯები	39040	53438
აზერბაიჯანის ფილიალის ხარჯები	608691	612713
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8190	100875
სულ:	1486174	1204817

3.7. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2024 წელი	2023 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	573652	450518
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-634136	-15070
სულ:	-60484	435448

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიაში დივიდენდების გაცემა განხორციელდა როგორც 2023 წელს, თანხით 2694869 ლარი (დივიდენდებიდან 5% საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), ასევე 2024 წელს - 6146824 ლარი (დივიდენდებიდან 5% საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).

განაწილებული მოგების შესაბამისმა მოგების გადასახადმა შეადგინა:

2024 წელს - $(6146824/0.85)*15\%=1084733$ ლარი;

2023 წელს - $(2694869/0.85)*15\%=475565$ ლარი.

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 29 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "ამბიენს"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2824302	1493828
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	173847	-5828
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-5839483	-2560126
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-2841334	-1072126
სავალუტო კურსის ეფექტი	488249	85178
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	15061703	16048651
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	12708618	15061703

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.

დირექტორი:

Rashid Kanaazov

რ. ნამაზოვი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	13187530	14789212	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12920058	14420008	
- მომსახურების გაწევიდან	267472	369204	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-6722670	-8254517	3.5
საერთო მოგება	6464860	6534695	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.6
დასაქმებულთა ანაზღაურება	-665509	-578766	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-27270	-29420	
საპროცენტო შემოსავალი	182192		
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-32548	-30230	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1486174	-1204817	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2029309	-1843233	
საოპერაციო მოგება	4435551	4691462	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.7
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-60484	435448	
მიღებული დივიდენდები			3.8
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	1329	615	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	4376396	5127525	3.8
მოგების გადასახადის ხარჯი	-1084733	-475565	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3291663	4651960	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.4
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	3291663	4651960	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	19039801	16569731	3.4
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-6146824	-2694869	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		512979	3.4
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	16184640	19039801	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემუნებლად 29.09.2025 წ.

დირექტორი:

Rashid Namazov

რ. ნამაზოვი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12708618	15061703	16048651	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3008833	4531528	2344925	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	55791	283046	39283	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				3.2
მარაგები	3009122	3636055	2788523	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	3009122	3636055	2788523	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	33111	21875	10680	
ბიოლოგიური აქტივები				3.3
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი			61	
სხვა არამატერიალური აქტივები			135664	
ძირითადი საშუალებები	81766	107765		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	18897241	23641972	21367787	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				3.4
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლოზინგის) გრძელვადიანი ნაწილი	2696126	4589961	4518350	
სავაჭრო ვალდებულებები				
ანარიცხები	4681	1722	1189	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	11795	10488	278517	
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2712602	4602171	4798056	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	16182766	19037928	16567858	
გადაფასების რეზერვი	1873	1873	1873	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	16184639	19039801	16569731	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18897241	23641972	21367787	
სულ მოკლევადიანი აქტივები	18815475	23534207	21232062	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2712602	4602171	4798056	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.

დირექტორი: Rosim Ramazov რ. ნამაზოვი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.